ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

*შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ **პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 15 ნოემბრის სხდომის** № 01-03/05 ოქმის დანართი №6*

ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/14, 07.07.2023, N01-09/33, 25/12/2025

ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ჩარჩო დებულება

2025

სარჩევი

თავი I – ზოგადი დებულებები 1
მუხლი 1. რეგულირების სფერო 1
მუხლი 2. დებულების სამართლებრივი საფუძვლები 1
მუხლი 3. უნივერსიტეტის სტუდენტის წარმომადგენლობითი უფლება 2
მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლად საქმიანობის პრინციპები 2
თავი II – სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება 3
მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირების წესი 3
მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ეტაპები 3
მუხლი 7. არჩევნების პერიოდის განსაზღვრა 3
მუხლი 8. კანდიდატების რეგისტრაცია და სამოქმედო გეგმების წარმოდგენა 4
მუხლი 8 1 კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია 5
მუხლი 9. საორგანიზაციო კომიტეტი 5
მუხლი 10. კანდიდატებთან შეხვედრა და სამოქმედო გეგმის განხილვა 6
მუხლი 11. საარჩევნო ბიულეტენების მომზადება 6
მუხლი 12. საარჩევნო სიების მომზადება 7
მუხლი 13. საარჩევნო კომისია 7
მუხლი 14. დამკვირველთა კორპუსი 8
მუხლი 15. არჩევნების პროცესი 8
მუხლი 16. ხმების დათვლა 9
მუხლი 17. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი 9
მუხლი 18. გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა 10
მუხლი 19. არჩევნების მეორე ტური 10
მუხლი 20. არჩევნების შედეგების გამოცხადება და სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება 11
თავი III – სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება 12
მუხლი 21. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება 12
მუხლი 22. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადა 13
მუხლი 23. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები 13
მუხლი 24. თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა 14
მუხლი 25. თვითმმართველობის ბიუჯეტი 15
მუხლი 26. წარმომადგენლობა სკოლის საბჭოში 15
მუხლი 27. სტუდენტური ომბუდსმენი 16
მუხლი 28. სტუდენტური თვითმმართველობის დებულება 17
თავი IV – სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება 17
მუხლი 29. დებულების პირველი რედაქციის დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანო 17
მუხლი 30. დებულების ძალაში შესვლა 17
მუხლი 31. თვითმმართველობის პირველი არჩევნების ჩატარება 17

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

N	თარიღი	ნდ-ის ნომერი	დოკუმენტის მიმღები	ცვლილება	ვერსია	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	15.11.2022	01-03/05	პარტნიორთა საერთო კრების ოქმი	პირველადი რედაქცია	01	
2	07.07.2023	01-09/14	რექტორი	ცვლილება	02	
3	25.12.2025	01-09/33	რექტორი	ცვლილება	03	

თავი I – ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. სტუდენტური თვითმმართველობის ჩარჩო დებულება (შემდგომში – დებულება) ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში – „ავიცენა“ ან „უნივერსიტეტი“) სტუდენტური თვითმმართველობის (შემდგომში – „თვითმმართველობა“) ფორმირების წესს, თვითმმართველობის საქმიანობის ფარგლებს, თვითმმართველობის მმართველი ორგანოების ფორმირების პრინციპებს, თვითმმართველობისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კომუნიკაციის ფარგლებს.

1.2. დებულება წარმოადგენს თვითმმართველობის ჩამოყალიბების და მის მიერ დამოუკიდებლად, სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შემუშავების სამართლებრივ საფუძველს.

1.3. დებულების მიზანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის სტუდენტური მმართველობის განხორციელების, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სტუდენტების ფართოდ ჩართვის, სტუდენტთა უფლებათა დაცვისა და მათი მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობისთვის სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან მისი დამოუკიდებლობის განსაზღვრა, სტუდენტის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების დაცვა და თვითმმართველობის სტრუქტურაში უნივერსიტეტის სტუდენტური კორპუსის თანასწორი, დისკრიმინაციისგან დაცული წარმომადგენლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. დებულების სამართლებრივი საფუძვლები

2.1. წინამდებარე დებულება შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის საფუძველზე მიღებულ შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

2.2. წინამდებარე დებულების ნორმები უნდა შეესაბამებოდეს შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ დებულების ნორმებს. ამ დებულებისა და უნივერსიტეტის დებულების ნორმებს შორის სხვაობის შემთხვევაში, სადაო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება უნივერსიტეტის დებულების ნორმები.

2.3. წინამდებარე დებულების საფუძველზე თვითმმართველობის მიერ მიღებული „სტუდენტური თვითმმართველობის დებულების“ ნორმები უნდა შეესაბამებოდეს ამ დებულების ნორმებს. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სცდება ამ დებულებით განსაზღვრულ ფარგლებს, ბათილია.

2.4. თვითმმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული ამ დებულებით ან/და მის საფუძველზე მიღებული სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით, რეგულირდება თუ განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სტუდენტის წარმომადგენლობითი უფლება

3.1. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი უფლებამოსილია საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესითა და პროცედურით არჩეულ იქნას უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (შემდეგში – სკოლა) მართვის ორგანოში და მიიღოს მონაწილეობა ამ ერთეულის (სკოლის) საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.2. სტუდენტურ თვითმმართველობაში წარმოდგენილი უნდა იყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო წლის (კურსის) სტუდენტი.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლად საქმიანობის პრინციპები

4.1. სტუდენტური თვითმმართველობა დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულებისა და მის საფუძველზე, თავის მიერ შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

4.2. სტუდენტური თვითმმართველობა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა თუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ ჩაერიონ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში, ან/და თვითმმართველობაზე ზეწოლის მიზნით გამოიყენონ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა უნივერსიტეტში.

4.3. სტუდენტური თვითმმართველობის ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან შემოიფარგლება:

ა) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართ – ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებული, თვითმმართველობის სამოქმედო გეგმის შესრულების ნაწილში;

ბ) რექტორის და დირექტორის მიმართ – უნივერსიტეტის მიერ თვითმმართველობისთვის გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრივად ხარჯვის ანგარიშგების ნაწილში; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

გ) სკოლის საბჭოს მიმართ – თვითმმართველობის მიერ დასახელებული სკოლის საბჭოს წევრი სტუდენტების მიერ სკოლის დებულებით განსაზღვრული სკოლის საბჭოს სტუდენტი წევრის უფლებამოსილებების შესრულების ნაწილში;

დ) თვითმმართველობის მიერ დასახელებული სტუდენტური ომბუდსმენის მიერ უნივერსიტეტის სტუდენტური ომბუდსმენის დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი სტუდენტური ომბუდსმენის ვალდებულებების შესრულების ნაწილში.

4.4. ზედამხედველობას სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ჩარევის გარეშე განხორციელებაზე ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი.

თავი II – სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირების წესი

5.1. სტუდენტური თვითმმართველობა იქმნება უნივერსიტეტში ჩატარებული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

5.2. უნივერსიტეტი ახორციელებს არჩევნების ორგანიზაციულ მხარდაჭერას, რისთვისაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას არჩევნების შესახებ, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან (სკოლასთან) კონსულტაციების საფუძველზე განსაზღვრავს არჩევნების პერიოდს, რომლის დროს შესაძლებელი იქნება სტუდენტების არჩევნებზე გამოცხადების მაქსიმალური უზრუნველყოფა, რექტორის ბრძანებით აცხადებს არჩევნებს, გამოყოფს კამპუსში არჩევნების ჩატარების სივრცეს, ასევე უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის და დამკვირვებელთა კორპუსის ფორმირებას. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

5.3. არჩევნებში მონაწილეობის უფლება (აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება) აქვს ყველა სტუდენტს, რომელსაც არჩევნების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების გამოცემის პერიოდისთვის გააჩნია სტუდენტის აქტიური სტატუსი.

მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ეტაპები

6.1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები შედგება შემდეგი პროცედურებისაგან (ეტაპებისგან):

ა) არჩევნების პერიოდის დადგენა;

ბ) კანდიდატების რეგისტრაცია და მათი საქმიანობის გეგმის წარმოდგენა; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

გ) კანდიდატებთან შეხვედრა (რეგისტრირებული კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია); *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

დ) არჩევნების ჩატარება (ხმის მიცემა);

ე) ხმების დათვლა, საბოლოო შედეგის გამოცხადება და თვითმმართველობის ფორმირება; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

ვ) თვითმმართველობის პირველი სხდომის ჩატარება, თავმჯდომარისა და მართვის ორგანოების არჩევა.

მუხლი 7. არჩევნების პერიოდის განსაზღვრა

7.1. უნივერსიტეტის თვითმმართველობის არჩევნები განისაზღვრება:

ა) პირველი არჩევნების შემთხვევაში – უნივერსიტეტში არანაკლებ 50 სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში (არჩევნების პერიოდი განსაზღვრული უნდა იყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების არჩევნებზე გამოცხადების მაქსიმალური უზრუნველყოფა); *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/14, 07.07.2023 წ.)*

ბ) შემდგომი არჩევნების შემთხვევაში – არსებული სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ამოწურვამდე არაუგვიანეს 3 თვისა. არჩევნების პერიოდი განსაზღვრული უნდა იყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების არჩევნებზე გამოცხადების მაქსიმალური უზრუნველყოფა.

7.2. არჩევნების პერიოდის შესახებ უნივერსიტეტის რექტორი, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით, გამოსცემს ბრძანებას არჩევნების დანიშვნის შესახებ.

7.3. რექტორის ბრძანებაში განისაზღვრება:

ა) თვითმმართველობის წევრთა რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის და/ან თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით ; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

ბ) კანდიდატურების რეგისტრაციისა და მათ მიერ სამოქმედო გეგმის წარმოდგენის თარიღი; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

გ) კანდიდატებთან შეხვედრის (რეგისტრირებული კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია) თარიღი;*(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

დ) არჩევნების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა;

ე) საარჩევნო კომისიის შემადგენლობა;

ვ) დამკვირვებელთა კორპუსის შემადგენლობა;

ზ) კენჭისყრის ადგილი და თარიღი;

თ) არჩევნების შედეგების გამოცხადების თარიღი.

7.4. უნივერსიტეტის ბრძანება თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გაეცნოს აქტიური სტატუსის ყველა სტუდენტს.

მუხლი 8. კანდიდატების რეგისტრაცია და სამოქმედო გეგმების წარმოდგენა

8.1. თვითმმართველობის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ყველა სტუდენტს, რომელსაც არჩევნების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების გამოცემის პერიოდისთვის გააჩნია სტუდენტის აქტიური სტატუსი.

8.2. ამოღებულია; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

8.3. თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი კანდიდატი, სარეგისტრაციო ვადის განმავლობაში თვითმმართველობის საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგენს:

ა) განცხადებას არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლს; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

გ) სამოქმედო გეგმას, რომელიც აღწერს კანდიდატის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებს, მის მიერ თვითმმართველობის წევრის სტატუსით საქმიანობის პროცესისთვის. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

8.4. კანდიდატების რეგისტრაციას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი. ხოლო სამოქმედო გეგმის წარმოდგენა ამ კომიტეტის ორგანიზებით მოხდება უნივერსიტეტში, საჯაროდ. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

8.5. კანდიდატი, რომელიც ვერ წარმოადგენს განაცხადს ან/და ამ მუხლით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტაციას რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, არ ექვემდებარება რეგისტრაციას.

მუხლი 8 [1] კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია

8.1.[1] სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩვნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით;

8.2.[1] კენჭისყრის დღეს აგიტაცია აკრძალულია;

8.3.[1] წინასაარჩვნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს კანონით წებადართული სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებით.

8.4.[1] წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს;

8.5.[1] უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს უნივერსიტეტში არჩევნების სრულფასოვნად და სამართლიანად ჩატარებას. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

მუხლი 9. საორგანიზაციო კომიტეტი

9.1. თვითმმართველობის არჩევნების პროცესის ორგანიზაციული და ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის, იქმნება საორგანიზაციო კომიტეტი. პირველი არჩევნებისთვის საორგანიზაციო კომიტეტის ფორმირება მოხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

9.2. საორგანიზაციო კომიტეტი შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრისგან.

9.3. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის მიერ წამოყენებული სტუდენტები და ორგანიზაციული მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის თანამშრომელი *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

9.3[1] . ყოველი შემდგომი არჩევნებისთვის საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტური თვითმმართველობა. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

9.4. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი სტუდენტები არ არიან უფლებამოსილი კანდიდატის სახით მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში.

9.5. საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს:

ა) თვითმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განთავსებისა და სტუდენტებისთვის მიწოდებაზე კონტროლს;

ბ) დაინტერესებული პირების ინფორმირებას არჩევნებისა და მათი პროცედურების შესახებ;

გ) კანდიდატების რეგისტრაციას, მათი სამოქმედო გეგმის მიღებას და დაცულად შენახვის უზრუნველყოფას;

დ) კანდიდატებთან შეხვედრების ორგანიზებას;

ე) დაინტერესებული პირებისთვის კანდიდატების სამოქმედო გეგმების გაცნობის უზრუნველყოფას;

9.6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობისთვის შესაბამისი სივრცისა და აღჭურვილობის გამოყოფას.

მუხლი 10. კანდიდატებთან შეხვედრა და სამოქმედო გეგმის განხილვა

10.1. კანდიდატების რეგისტრაციისთვის რექტორის ბრძანებით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, საორგანიზაციო კომიტეტი ნიშნავს სტუდენტების თვითმმართველობის კანდიდატებთან შეხვედრის და მათ მიერ სამოქმედო გეგმის პრეზენტაციის თარიღს.

10.2. კანდიდატებთან შეხვედრა ტარდება უნივერსიტეტის სივრცეში. შეხვედრის ფარგლებში კანდიდატი დამსწრე სტუდენტებს წარუდგენს თავიანთ სამოქმედო გეგმას, პასუხობს დამსწრე სტუდენტებისა და სხვა კანდიდატების კითხვებს და უფლებამოსილია თავად მიმართოს შეკითხვით თვითმმართველობის სხვა კანდიდატს.

10.3. კანდიდატებთან შეხვედრის დღეს საორგანიზაციო კომიტეტი ასაჯაროვებს სამოქმედო გეგმას, საავტორო უფლებების დაცვით, რათა ყველა მსურველმა შეძლოს დამატებითი გაცნობა. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

მუხლი 11. საარჩევნო ბიულეტენების მომზადება

11.1. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ თვითმმართველობის არჩევნების თარიღამდე 1 კვირით ადრე, საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენების მომზადებას და მათი საარჩევნო კომისიისთვის გადაცემას.

11.2. საარჩევნო ბიულეტენში მიეთითება:

ა) საარჩევნო ბიულეტენის ნომერი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა/კურსი;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/კურსიდან წამოყენებული ყველა კანდიდატი;

დ) საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის წევრის ხელმოწერა ბიულეტენის ამ მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

11.3. საარჩევნო კომისიის მდივანი ადასტურებს ბიულეტენში მოყვანილი ინფორმაციის სისწორეს და აფორმებს ბიულეტენების მიღება-ჩაბარების აქტს საორგანიზაციო კომიტეტთან.

მუხლი 12. საარჩევნო სიების მომზადება

12.1. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ თვითმმართველობის არჩევნების თარიღამდე 1 კვირით ადრე, საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ამომრჩეველი სტუდენტების სიის ფორმირებას პროგრამების/კურსების მიხედვით და მისი უნივერსიტეტში საჯაროდ განთავსებას, საარჩევნო უბნ(ებ)ის მიხედვით. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

12.2. საარჩევნო სიაში შეყვანილი უნდა იყოს ყველა სტუდენტი, რომელსაც, თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ბრძანების გამოცემის მომენტისთვის გააჩნია აქტიური სტუდენტის სტატუსი.

12.3. სტუდენტი, რომელიც არ იქნა შეყვანილი საარჩევნო სიაში, უფლებამოსილია მისი გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში.

12.4. კომისია იხილავს სტუდენტის საჩივარს 1 დღის ვადაში და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სტუდენტის სიაში შეყვანის ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 13. საარჩევნო კომისია

13.1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების განხორციელების, ხმების მიცემის პროცესის ორგანიზებისა და ხმების დათვლის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საარჩევნო კომისია.

13.2. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით, მათგან:

ა) სტუდენტების საინიციატივო ჯგუფების მიერ დასახელებული 3 წევრი;

ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი 1 წევრი;

გ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი 1 წევრი;

13.3. საარჩევნო კომისიის წევრი სტუდენტები არ არიან უფლებამოსილი კანდიდატის სახით მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში.

13.4. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს:

ა) საარჩევნო სიების მომზადებას ამ დებულებით განსაზღვრული წესით;

ბ)საარჩევნო ბიულეტენების მიღებას და დამოწმება;

გ) არჩევნების ჩატარების პროცესის ორგანიზებას და ამომრჩეველთა მიერ შევსებული ბიულეტენების აღრიცხვას; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

დ)ხმების დათვლას და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენას ამ დებულებით დადგენილი პროცედურით;

ე) დამკვირვებელთა კორპუსის მიერ რეგისტრირებულ დარღვევებზე რეაგირებას.

13.5. სტუდენტური თვითმმართველობის პირველი არჩევნებისთვის შესაძლოა საარჩევნო კომისიის ფორმირება 13.2 პუნქტისაგან განსხვავებული წესით, რექტორის ბრძანებით. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

მუხლი 14. დამკვირვებელთა კორპუსი

14.1. უნივერსიტეტის თვითმმართველობის არჩევნების ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების პროცესზე ზედამხედველობას უზრუნველყოფს დამკვირვებელთა კორპუსი.

14.2. თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებლად რეგისტრაცია შეუძლია ყველა მსურველ სტუდენტს.

14.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია არჩევნების დამკვირვებელთა კორპუსში შეიყვანოს ადმინისტრაციისა თუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.

14.4. სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნით დასაშვებია დამკვირვებელთა კორპუსში შეყვანილი იყვნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები, აკადემიური პერსონალი ან სხვა გარეშე პირები.

14.5. უნივერსიტეტის დამკვირვებელთა კორპუსის სიის ფორმირებას (მსურველების რეგისტრაციას) უზრუნველყოფს არჩევნების საორგანიზაციო კომიტეტი.

14.6. დამკვირვებელთა სია მტკიცდება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

მუხლი 15. არჩევნების პროცესი

15.1. არჩევნების დღეს ხმის მიცემის მქონე სტუდენტი უფლებამოსილია გამოცხადდეს არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილ სივრცეში, უნივერსიტეტის კამპუსში არჩევნების ჩასატარებლად რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დროითი მონაკვეთის ფარგლებში.

15.2. ბიულეტენის მიღებამდე, სტუდენტი საარჩევნო კომისიის წევრს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას ან საერთაშორისო პასპორტს. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

15.3. საარჩევნო კომისიის წევრი ამოწმებს სტუდენტის მონაცემებს საარჩევნო სიაში და გასცემს მასზე შესაბამის პროგრამის/კურსის კანდიდატებისთვის საარჩევნო ბიულეტენს. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

15.4. ბიულეტენის მიღება-ჩაბარება დასტურდება სტუდენტის ხელმოწერით შესაბამის უწყისში.

15.5. ბიულეტენის მიღების შემდეგ, სტუდენტი გადადის ხმის მიცემისათვის განკუთვნილ ფარულ ადგილას ,ირჩევს ბიულეტენიდან მისთვის სასურველ კანდიდატს და კანდიდატის სახელთან შესაბამისი აღნიშვნის დაფიქსირების შემდეგ, ბიულეტენს ათავსებს საარჩევნო ოთახში განთავსებულ დალუქულ ყუთში. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

15.6. დამკვირვებელთა კორპუსის წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან დაესწრონ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პროცესის ყველა ეტაპს, გარდა ხმის მიცემისთვის განკუთვნილ ფარულ ადგილას სტუდენტის მიერ ხმის მიცემის მომენტისა. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

მუხლი 16. ხმების დათვლა

16.1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო კომისია ადარებს გაცემული ბიულეტენების რაოდენობას და მის შესაბამისობას არჩევნებზე გამოცხადებული სტუდენტების რაოდენობასთან.

16.2. იმ შემთხვევაში, თუ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა შეესაბამება არჩევნებზე გამოცხადებული სტუდენტების რაოდენობას, კომისია ხსნის ხმის მიცემის ყუთს და თვლის ყუთში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობას.

16.3. იმ შემთხვევაში, თუ ყუთში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა შეესაბამება გაცემული ბიულეტენების რაოდენობას კომისია იწყებს ხმების დათვლის პროცესს.

16.4. ხმების დათვლის პროცესში თითოეული პროგრამის/კურსის კანდიდატების ხმები ითვლება ცალ-ცალკე.

16.5. ბიულეტენები, რომლიდანაც არ იკვეთება, თუ რომელ კანდიდატს მისცა ამომრჩეველმა სტუდენტმა ხმა და ბიულეტენები, სადაც ხმა მიცემულია ერთზე მეტი კანდიდატისთვის, ითვლება ბათილად, არ განიხილება ხმის დათვლის პროცესში.

16.6. ხმების დათვლის პროცესი სავალდებულოა დაიწყოს ხმების მიცემის პროცესის დასრულებისთანავე და დასრულდეს იმავე დღეს.

16.7. დამკვირვებელთა კორპუსი უფლებამოსილია დაესწროს ხმების დათვლის პროცესის მსვლელობას.

მუხლი 17. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი

17.1. თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობა აისახება საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმში.

17.2. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმში აღინიშნება:

ა) გამოცხადებული სტუდენტების რაოდენობა;

ბ) გაცემული ბიულეტენების რაოდენობა;

გ) ყუთიდან ამოღებული ბიულეტენების რაოდენობა;

დ) ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა;

ვ) დამკვირვებელთა კორპუსიდან შემოსული საჩივრები და მითითებები ამ დებულებით განსაზღვრული არჩევნების წესის დარღვევაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

ზ) გამარჯვებული კანდიდატები თითოეული პროგრამის/კურსის მიხედვით.

17.3. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

17.4. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს დანართად დაერთვის:

ა) ამომრჩეველ სტუდენტთა სია;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებული სტუდენტების სია მათი ხელმოწერებით;

გ) ბიულეტენების მიღება-ჩაბარების აქტი;

დ) ბათილად ცნობილი ბიულეტენები;

ე) სხვა ინფორმაცია, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

მუხლი 18. გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა

18.1. ხმების დათვლის შედეგად საარჩევნო კომისია განსაზღვრავს თითოეული პროგრამის/კურსის მიხედვით გამარჯვებულ - მეტი ხმის მქონე კანდიდატებს, ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

18.2. ამოღებულია *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

18.3. ამოღებულია *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

18.4. ამოღებულია *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

18.5. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგად ხმებს მიიღებს რექტორის ბრძანებით გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობაზე ნაკლები კანდიდატი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას დარჩენილი ადგილების არჩევნების მეორე ტურში გათვალისწინების შესახებ. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

18.6. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგად რექტორის ბრძანებით გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობაზე მეტ კანდიდატს მიღებული აქვს ხმების თანაბარი რაოდენობა, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ამ კანდიდატების არჩევნების მეორე ტურში გადაყვანის შესახებ. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

18.7. იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირებულია არჩევნების პროცესის დარღვევები, რომლებსაც პირდაპირი დადებითი ან უარყოფითი გავლენა შეძლება მოეხდინა რომელიმე კანდიდატისთვის მიცემული ხმების რაოდენობაზე, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არჩევნების შესაბამისი პროგრამის/კურსისთვის ან მთლიანად ბათილად გამოცხადებისა და მეორე ტურის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 19. არჩევნების მეორე ტური

19.1. თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური ტარდება იმ შემთხვევაში თუ:

ა) არჩევნების პირველი ტური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მთლიანად ან ნაწილობრივ, კონკრეტული პროგრამის კონკრეტული კურსისთვის;

ბ) თუ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ადგილებზე კანდიდატების მიერ დაგროვებული ხმების რაოდენობა თანაბარია; *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

გ) თუ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ადგილები არ იქნა შევსებული. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

19.2. არჩევნების მეორე ტური ტარდება ამ დებულებით დადგენილი პროცედურით, პირველი ტურის ჩატარებიდან 1 კვირის ვადაში.

19.3. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ტური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით მთლიანად ბათილად იქნა ცნობილი, მეორე ტური ტარდება არჩევნების დროს რეგისტრირებული ყველა კანდიდატისთვის.

19.4. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ტური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი, მეორე ტური ტარდება შესაბამისი პროგრამის/კურსის ყველა კანდიდატისთვის.

19.5. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში კანდიდატების მიერ ხმების თანაბარი რაოდენობა იქნა მიღებული, მეორე ტური ტარდება შესაბამისი პროგრამის/კურსისთვის დარჩენილ ადგილებზე, მხოლოდ ამ კანდიდატებისთვის.

19.6. იმ შემთხვევაში თუ არჩევნების პირველ ტურში რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ადგილები არ იქნა შევსებული, მეორე ტური ტარდება შესაბამისი პროგრამის/კურსისთვის დარჩენილ ადგილებზე, ყველა რეგისტრირებული კანდიდატებისთვის. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025 წ.)*

19.7. მეორე ტურის ხმის მიცემის პროცესის ჩატარების, საარჩევნო კომისიის დაოქმებისა და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენის პროცედურა ტარდება ამ დებულების მე-15 - მე-16 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 20. არჩევნების შედეგების გამოცხადება და სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება

20.1. არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ, საარჩევნო კომისიის საბოლოო ოქმით განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ყველა პროგრამის/კურსის შესაბამისად.

20.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრების სია მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

20.2.[1] არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს და ამომრჩეველს, საარჩევნო პროცედურის ამ დებულებით გათვალისწინებული წესის დარღვევასთან დაკავშირებით უფლება აქვთ საჩივარი შეიტანონ საარჩევნო კომისიაში; გარდა ამისა, არჩვნების შედეგები შეიძლება 30 დღის ვადაში გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

20.3. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირების შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ 1 თვის ვადაში ტარდება სტუდენტური თვითმმართველობის პირველი სხდომა.*(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

20.4. პირველი სხდომის ფარგლებში, სტუდენტური თვითმმართველობა:

ა) ირჩევს თავისი შემადგენლობიდან სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეს;

ბ) უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს მართვის სხვა ორგანოები, როგორიცაა თავმჯდომარის მოადგილეები, კომიტეტები, ინტერესთა ჯგუფები და სხვა;

გ) განსაზღვრავს თვითმმართველობის სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფს;

დ) ასახელებს სკოლის საბჭოს სტუდენტი წევრების კანდიდატურებს;

ე) ასახელებს სტუდენტური ომბუდსმენის კანდიდატურას;

ვ) ადგენს თვითმმართველობის სხდომათა პერიოდულობას, საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს.

20.5. სტუდენტური თვითმმართველობა ვალდებულია პირველი სხდომის ჩატარებიდან 2 თვის ვადაში უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარმოუდგინოს თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი.

20.6. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში ვერ წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია შეუწყვიტოს მას უფლებამოსილება და გამოაცხადოს თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნები.

20.7. ვადამდელი არჩევნები ტარდება ამ თავით დადგენილი პროცედურით.

თავი III – სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

მუხლი 21. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

21.1. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას, ირჩევს სტუდენტურ ომბუდსმენს (ასევე სტუდენტური ომბუდსმენის წარმომადგენლებს, სტუდენტური ომბუდსმენის წინადადების, სტუდენტთა რაოდენობისა და სტუდენტების ომბუდსმენისადმი მიმართვიანობის გათვალისწინებით); *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/14, 07.07.2023წ.)*

გ) ირჩევს თავის წარმომადგენლებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში

დ) შეიმუშავებს წინადადებებს უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ე) დამოუკიდებლად შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას და ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ვ) ახორციელებს თავისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს, უნივერსიტეტთან შეთანხმებული ბიუჯეტის ფარგლებში.

21.2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 22. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადა

22.1. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 2 წელს.

22.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი სტუდენტის უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის 2/3-ის გადაწყვეტილებით, თუ მისი საქმიანობა ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ან/და თვითმმართველობის ინტერესებს, თვითმმართველობის დებულებით დადგენილი წესით;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამო;

22.3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, უფლებამოსილება შეუწყდა მისი წევრების მესამედზე მეტს,

ტარდება თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნები, გათავისუფლებულ ადგილებზე, არსებული თვითმმართველობის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

მუხლი 23. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები

23.1. სტუდენტურ თვითმმართველობას ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელსაც სადამფუძნებლო კრებაზე ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრი.

23.2. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს თვითმმართველობას უნივერსიტეტთან ურთიერთობაში;

ბ) გეგმავს თვითმმართველობის მუშაობას, ნიშნავს და წარმართავს თვითმმართველობის შეხვედრებს;

გ) ხელმძღვანელობს თვითმმართველობის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავების პროცესს, მონიტორინგს უწევს სამოქმედო გეგმის შესრულებას;

დ) პასუხისმგებელია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ამ დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობით წარმართვაზე;

დ) ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

23.3. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი გეგმის შესრულების ნაწილში ანგარიშვალდებულია თვითმმართველობისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე, ხოლო უნივერსიტეტის ფინანსების მიზნობრივად და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განკარგვის ნაწილში რექტორის და დირექტორის წინაშე. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

23.4. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა 2 წელია.

23.5. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის წლიური სამოქმედო გეგმის შეუსრულებლობა;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის არამიზნობრივად გამოყენება;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა 2/3-ზე მეტის მიერ გამოცხადებული უნდობლობა;

დ) ამ დებულების 22-ე მუხლი მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული სხვა გარემოება.

23.6. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თვითმმართველობა უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, თავიანთი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს.

23.7. თვითმმართველობა უფლებამოსილია აირჩიოს მართვის სხვა ორგანოები, როგორიცაა თავმჯდომარის მოადგილეები, დარგობრივი დეპარტამენტები და სხვა. გადაწყვეტილებას მართვის

ორგანოთა სახელწოდებაზე, დაქვემდებარებაზე და დაკომპლექტების წესზე, იღებს სტუდენტური თვითმმართველობა, ხმათა უმრავლესობით.

23.8. თვითმმართველობის მართვის ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება თვითმმართველობის მიერ მიღებული სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

მუხლი 24. თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა

24.1. თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა ადგენს წლის განმავლობაში თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელ აქტივობებს, რომელიც მიმართულია ამ დებულების 21-ე მუხლითა და სტუდენტური თვითმართველობის დებულებით განსაზღვრული ამოცანების მისაღწევად გათვალისწინებულ აქტივობებს, განსაზღვრავს მათ შესრულებაზე პასუხისმგებელ თვითმმართველობის სუბიექტებს, ადგენს ამ აქტივობათა განხორციელებისთვის აუცილებელ ბიუჯეტსა და მათი შესრულების ინდიკატორებს.

24.2. სამოქმედო გეგმა შეიმუშავება ერთი აკადემიური წლის ვადით.

24.3. სამოქმედო გეგმის პროექტს თვითმმართველობის თავმჯდომარე წარუდგენს აკადემიურ საბჭოს განხილვისა და მოწონებისთვის.

24.4. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია არ მოიწონოს თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანები არ შეესაბამება თვითმმართველობის მიზნებს, უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და ამოცანებს;

ბ) სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანები არარეალისტურია, ან მათ მისაღწევად განსაზღვრული ადამიანური თუ ფინანსური რესურსი აშკარად არარელევანტურია;

გ) სამოქმედო გეგმის ბიუჯეტი ცდება უნივერსიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ თვითმმართველობის დაფინანსების ოდენობას, ამასთან, არ არის პარტნიორთა კრების თანხმობა თვითმმართველობის ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე.

24.5. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია არასავალდებულო სახით მისცეს თვითმართველობას რეკომენდაციები გეგმის ცალკეულ ამოცანებთან დაკავშირებით.

24.6. აკადემიური საბჭოს მიერ მოწონებული თვითმმართველობის გეგმის საფუძველზე იგეგმება და წარიმართება თვითმმართველობის აქტივობები შესაბამისი საანგარიშო წლის განმავლობაში.

24.7. სამოქმედო გეგმის შეუსრულებლობა, თუ აღნიშნულს საფუძვლად არ უდევს გაუთვალისწინებელი და გადაულახავი გარემოება, შესაძლებელია გახდეს თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 25. თვითმმართველობის ბიუჯეტი

25.1. სტუდენტური თვითმმართველობის და მისი განხორციელებული აქტივობების დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. თვითმმართველობა უფლებამოსილია მოიძიოს დამატებითი დაფინანსება გარე წყაროებიდან.

25.2. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია განსაზღვროს თავისი ამოცანები უნივერსიტეტის ბიუჯეტით დადგენილი დაფინანსების ფარგლებში ან წარმოადგინოს დასაბუთებული ინიციატივა ბიუჯეტის გაზრდის შესახებ.

25.3. თვითმმართველობის მოთხოვნას ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე აკადემიური საბჭოს მოწონებისა და რექტორის და/ან დირექტორის დასკვნის საფუძველზე იხილავს უნივერსიტეტის პარტნიორთა კრება. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

25.4. თვითმმართველობა უფლებამოსილია მიმართოს ავიცენას საფინანსო-საბუღალტრო სამსახურს თავისი სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირების პროცესში დახმარებისა და კონსულტირებისთვის. *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

25.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გააკონტროლოს თვითმმართველობის მიერ მათთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული ხარჯების მიზნობრიობა.

25.6. პასუხისმგებლობა თვითმმართველობის ბიუჯეტის ეფექტურად და მიზნობრივად გამოყენებაზე ეკისრება სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეს.

მუხლი 26. წარმომადგენლობა სკოლის საბჭოში

26.1. სტუდენტური თვითმმართველობა, დეკანის მომართვის საფუძველზე ირჩევს და ასახელებს სტუდენტ წარმომადგენლებს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის – სკოლის საბჭოს – შემადგენლობაში.

26.2. სკოლის საბჭოს სტუდენტი წევრების რაოდენობა განისაზღვრება სკოლის დებულებით.

26.3. სკოლის საბჭოს სტუდენტი წევრების (წარმომადგენლების) არჩევის პროცედურები განისაზღვრება თვითმმართველობის დებულებით. თვითმმართველობა უფლებამოსილია, სტუდენტ წარმომადგენლად დაასახელოს როგორც თვითმმართველობის წევრები, ასევე სხვა სტუდენტები, მათი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 27. სტუდენტური ომბუდსმენი

27.1. სტუდენტური თვითმმართველობა, თავისი წევრებიდან თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადით ირჩევს სტუდენტების უფლება-დამცველს – სტუდენტურ ომბუდსმენს, რომლის საქმიანობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სტუდენტური უფლებებისა და ინტერესების დაცვა ყველა დონეზე, უნივერსიტეტის ნებისმიერ სუბიექტთან.

27.2. სტუდენტური ომბუდსმენი:

ა) უფლებამოსილია შეაგროვოს ინფორმაცია სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შესახებ და მიაწოდოს ის უნივერსიტეტის უფლებამოსილ ორგანოებს რეაგირებისთვის;

ბ) უფლებამოსილია ჩაერთოს სადაო საკითხის გადაწყვეტის პროცესში, სტუდენტის მხარეს;

გ) მონაწილეობს სტუდენტთა მიმართ დისციპლინარული დევნის პროცედურებში;

დ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა და უკეთ რეალიზების მიზნით;

ე) ახორციელებს სტუდენტური ომბუდსმენის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

27.3. სტუდენტური ომბუდსმენი თავისუფალია თავის საქმიანობაში და ხელმძღვანელობს სტუდენტური ომბუდსმენის დებულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

27.4. სტუდენტური ომბუდსმენის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის 2/3-ის გადაწყვეტილება, თუ მისი საქმიანობა არ შეესაბამება სტუდენტური ომბუდსმენის დებულებით დადგენილს;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

27.5. სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „შპს ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერისტეტის სტუდენტური ომბუდსმენის დებულებით". *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/33, 25.12.2025.)*

მუხლი 28. სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

28.1. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის პროცედურებს არეგულირებს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შემუშავებული და მიღებული დოკუმენტი – სტუდენტური თვითმმართველობის დებულება.

28.2. სტუდენტური თვითმმართველობის დებულება უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ჩარჩო დებულებას თვითმმართველობის საქმიანობის საკვანძო მიმართულებების, თვითმმართველობის უფლებების ფარგლებისა და საკვანძო საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის ნაწილში.

28.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ჩაერიოს დებულების დამტკიცების ან/და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები ეწინააღმდეგება წინამდებარე დებულებას.

28.4. სტუდენტური თვითმმართველობის დებულება ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით.

თავი IV – სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

მუხლი 29. დებულების პირველი რედაქციის დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანო

29.1. უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, წინამდებარე დებულება მიღებულია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების მიერ.

მუხლი 30. დებულების ძალაში შესვლა

30.1. დებულება ძალაში შედის პარტნიორთა კრების მიერ მის დამტკიცებისთანავე.

30.2. დებულებების ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის მიერ მის დამტკიცებისთანავე, თუ რექტორის ბრძანებით არ იქნება განსაზღვრული ცვლილების ძალაში შესვლის განსხვავებული სამომავლო თარიღი.

მუხლი 31. თვითმმართველობის პირველი არჩევნების ჩატარება

31.1. ამ დებულების ამოქმედების შემდეგ, უნივერსიტეტში არანაკლებ 50 სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პირველ არჩევნებს, რომლის შედეგად ფორმირებული სტუდენტური თვითმმართველობა შეიმუშავებს თვითმმართველობის დებულებას წინამდებარე დებულების შესაბამისად *(ცვლილება რექტორის ბრძანებით N01-09/14, 07.07.2023წ.)*